საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №199

3 ოქტომბერი 2011 თბილისი, საქართველო

2011 წლის 3 ოქტომბრს, 13:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი: ლევან გახელაძე, მამუკა ფაჩუაშვილი, ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ სარჯველაძე, დავით კანდელაკი, ემზარ გოგუაძე, გიგა ნასარიძე, შორენა შავერდაშვილი, ავთანდილ ანთიძე და გიორგი მელაძე. სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით აფრასიძე, ბაკურ სულაკაური, ნინო დანელია, ეკა მაზმიშვილი და ოთარ კობერიძე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის წერილის განხილვა.

პირველი საკითხი

სხდომას სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე უძღვებოდა, მან საბჭოს წევრებს გააცნო გენერალური დირექტორის მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილის შინაარსი:

“მოგახსენებთ, რომ 2009 წლის ოქტომბრის თვეში სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა"აიღო სესხი სს"კორ-სტანდარტ ბანკიდან" საოპერაციო საქმიანობისა და კაპიტალური დანახარჯების ფინანსირებისათვის. აგრეთვე მოგახსენებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით სს "კორ–სტანდარტ ბანკის" დავალიანებიდან დარჩენილია 1,6 მილიონი ლარი. მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და არასრულყოფილი სერვისის გამო ვთვლით, რომ საჭიროა მოხდეს არსებული საკრედიტო დავალიანების რეფინანსირება ისეთ ბანკში, რომელიც შემოგვთავაზებს უკეთეს პირობებს, როგორც საოპერაციო და საკრედიტო მომსახურების, ასევე თანამშრომლებისთვის სახელფასო დასაკრედიტო პროდუქტების თვალსაზრისით.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 01/06/2011 წლის სხდომის ოქმისN№ 193 და კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება № 203–ის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მენეჯმენტმა დაიწყო მომსახურე ბანკების კანდიდატურების განხილვა.შერჩევის პროცესში განსაზღვრულ იქნა შემდეგი სახის მოთხოვნები:

კრედიტის მაქსიმალური ოდენობა - 4,7 მლნ ლარი
მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი - 14% წლიურად
საკრედიტო ვალდებულების მაქსიმალური ვადა -18 თვე

დაფარვის გრაფიკი მოთხოვნის თანახმად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაგვრთოთ ნება მოვახდინოთ არსებული

საკრედიტო ვალდებულების რეფინანსირება და მოვახდინოთ დამატებითი საკრედიტო რესურსის ათვისება 2011 წლის ოქტომბრიდან. “

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს გენერალური დირექტორის მიერ მოხოვნილი საკითხის შესახებ, მსჯელობის დასრულების შემდგომ საბჭოს დავმჯდომარემ ხენჭისყრაზე დააყენა შემდეგი წინადადება:

„მიეცეს თანხმობა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს აწარმოოს მოლაპარაკებები საქართველოს კომერციულ ბანკებთან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ 4 700 000 (ოთხი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის საკრედიტო ხაზის გამოყოფაზე.“

ლევან გახელაძის მიერ კენჭის ყრაზე დაყენებულ წინადადებას სხდომაზე დამსწრე ყველა საბჭოს წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის)

მეორე საკითხი

საბჭოს წევრებმა შორენა შავერდაშვილის თხოვნით ისაუბრეს 1 კაკასიურ არხზე მიმდინარე რეფორმების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა 14:30 საათზე, შემდეგი სხდომის დღის წესრიგი, დრო და თარიღი საბჭოს წევრეს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან გახელაძე

სხდომის მდივანი: ირინე ზაქარიაშვილი